



## „დახურული“ ღია ცა: რატომ ჩაიშალა საერთაშორისო სადაზვერვო ფრენები?

მარიამ გრიგალაშვილი  
ივლისი 2018 / გამოცემა #8

### შესავალი

2010 წლიდან მოყოლებული ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ხელშეკრულება „ღია ცის შესახებ“ დაპირისპირების კიდევ ერთ მიზეზად იქცა. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულების ფორმატი დახურულია და შეთანხმებაც ტექნიკური დეტალების ერთობლიობას წარმოადგენს, თემა ფართო საზოგადოების ინტერესის ქვეშ ვერ მოექცა. შესაბამისად, პრაქტიკულად არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ღია ცის ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციას გააანალიზებდა და თემის გარშემო წამოჭრილი პრობლემების არგუმენტირებულ განხილვას მოახდენდა. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ბოლო თვეებში თემის გარშემო აქტიურობის მხრივ გამოირჩევა რუსული მედია, რომელიც სულ უფრო მეტს საუბრობს ღია ცის შესახებ ხელშეკრულების დარღვევებზე, ქართული მხარის ბრალეულობასა და საქართველოს მიერ ხელშეკრულების პოლიტიზირების შესახებ.

პრობლემა, რომელიც „ღია ცის შესახებ“ ხელშეკრულების ფარგლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს გასდევს 2010 წელს გაჩნდა, მაშინ როდესაც რუსეთმა რუსეთ-აფხაზეთის (და შემდგომში დამატებით რუსეთ-სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის) ე.წ საზღვართან, რომელიც რუსეთ-საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს, 10 კილომეტრიანი დისტანციის დაცვა მოითხოვა. კრემლის პოზიცია მის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარების

<sup>1</sup> მარიამ გრიგალაშვილი - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ანალიტიკოსი

გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა. საპასუხოდ, 2012 წელს საქართველომ გადაწყვიტა, რომ აღარ მიეღო თავის ტერიტორიაზე სადამკვირვებლო ფრენები რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით, ამასთანავე არ განხორციელებინა სადამკვირვებლო ფრენები რუსეთის ტერიტორიაზე<sup>2</sup>.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საკითხი კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება. პრობლემის მოუგვარებლობას ახანგრძლივებს რუსეთის დაჟინებული მოთხოვნა აღადგინოს საქართველოს ტერიტორიაზე ფრენების განხორციელების უფლება<sup>3</sup>. რუსეთის მოთხოვნა შესულია ყოველწლიური ფრენების დაგეგმვის დოკუმენტის პროექტში. საქართველო უარს აცხადებს, მხარი დაუჭიროს დოკუმენტს, რომელიც რუსეთს საშუალებას მისცემს, შეასრულოს ფრენები საქართველოს საჰაერო სივრცეში. ამრიგად, დოკუმენტის პროექტში არსებული ჩანაწერის გამო დოკუმენტზე კონსენსუსი ვერ მიიღწევა. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ 2018 წლის ფრენები სრულად ჩაიშალოს. რუსეთის ფედერაცია ცდილობს, 2018 წლის ფრენების ჩაშლა საქართველოს პასუხისმგებლობად წარმოაჩინოს. კრემლის მიერ შემოთავაზებული ნარატივი კონტრარგუმენტების არასათანადოდ წარმოდგენის ფონზე, ერთადერთ წყაროდ რჩება საკითხით დაინტერესებული პირებისთვის. სწორედ ამიტომ, საჭიროა, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი, რათა „ღია ცის შესახებ“ ხელშეკრულების გარშემო არსებულ პრობლემებზე მსჯელობა არ ემყარებოდეს მხოლოდ ერთი მხარის მიერ შემოთავაზებულ ნარატივს.

---

<sup>2</sup>Georgia Ceases Open Skies Treaty Vis-à-Vis Russia, Civil.ge, April, 2012. Available at: <https://old.civil.ge/eng/article.php?id=24634>

<sup>3</sup> რუსეთმა მსგავსი მოთხოვნა დააყენა 2016 წელსაც. ბოლოს საკონსულტაციო კომისიას მსგავსი მოთხოვნით 2017 წლის დეკემბერში მიმართა.

## იდეა ღია ცის შესახებ და ხელშეკრულების გარშემო არსებული ქართულ-რუსული დავის მიზეზები

1955 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა წამოაყენა იდეა - ღია ცის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო სადაზვერვო ინფორმაციის ლეგალურად მოპოვებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის<sup>4</sup>. ხელშეკრულება შეიარაღებაზე ეჭვების გაფანტვისა და ურთიერთნდობის აღდგენის გარანტი უნდა ყოფილიყო. თუმცა, საბჭოთა კავშირის უარის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა. 30 წლის შემდეგ, ჯორჯ ბუშის ინიციატივით, იდეამ ახალი სიცოცხლე შეიძინა და 1992 წელს ჰელსინკიში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ღია ცის შესახებ“, რომელიც ძალაში 2002 წელს შევიდა<sup>5</sup>.

შეთანხმების მიხედვით, 34 წევრ სახელმწიფოს საშუალება ეძლევა ერთმანეთის ტერიტორიაზე სადამკვირვებლო ფრენები განახორციელოს, სამხედრო პოტენციალის შესახებ ინფორმაცია შეაგროვოს და დაუყოვნებლივ განათავსოს შეგროვებული ინფორმაცია ერთიან ბაზაში, რომელზე წვდომაც, სურვილისა და შესაბამისი ფინანსური კონტრიბუციის შემთხვევაში, ხელშეკრულების ყველა მონაწილე მხარეს აქვს. შეთანხმების წევრ სახელმწიფოთა რიგებშია საქართველო და რუსეთის ფედერაცია.

საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების მეექვსე პუნქტის მეორე ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების წევრებს ეკრძალებათ ფრენების განხორციელება, წევრი ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც 10 კმ-ზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული ისეთი მესამე ქვეყნის საზღვრიდან<sup>6</sup>, რომელიც არ მონაწილეობს ხელშეკრულებაში. აკრძალვა ტექნიკური ხასიათისაა, რათა არ მოხდეს ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიიდან არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე წვდომა. სწორედ ეს მუხლი გამოიყენა 2010 წელს რუსეთმა ხელშეკრულების დანარჩენი წევრი სახელმწიფოებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ საზღვრებთან 10 კმ-ზე ნაკლებ დისტანციაზე მიახლოების შეზღუდვის მიზნით.

რუსეთის აღნიშნულ ქმედებას 2012 წელს საქართველოს პასუხი მოჰყვა<sup>7</sup>. ქართული მხარე, ორი წლის

<sup>4</sup> [Aric Jenkins](#), Times, August 11, 2017, Why Russia Was Allowed to Fly a Surveillance Plane Over the Capitol and Pentagon.

<sup>5</sup> Open Skies Consultative Commission, OSCE. Available at: <https://www.osce.org/oscc>

<sup>6</sup> Treaty on Open Skies, March, 1992. OSCE. Available at: <https://www.osce.org/library/14127>

<sup>7</sup> Georgia Ceases Open Skies Treaty Vis-à-Vis Russia, Civil.ge, April, 2012. Available at: <https://old.civil.ge/eng/article.php?id=24634>

განმავლობაში მოუწოდებდა რუსეთს კონსტრუქციული ქმედებებისკენ, თუმცა რუსეთი აგრძელებდა ხელშეკრულების ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოჩენას.

“მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის რეაგირება არ იყო ადეკვატური, საქართველო მაინც იმედოვნებდა შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძიებას საერთაშორისო სამართლის ნორმების ფარგლებში და კეთილსინდისიერად აგრძელებდა რუსეთის მიმართ ხელშეკრულების შესრულებას. სამწუხაროდ, საქართველოს ძალისხმევამ – გამოესწორებინა ჩიხური ვითარება, არ გამოიღო დამაკმაყოფილებელი შედეგი”.

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება*

ამრიგად, 2012 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ საქართველო აღარ მიიღებდა თავის ტერიტორიაზე სადამკვირვებლო ფრენებს რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით, ამასთან, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, არ განახორციელებდა სადამკვირვებლო ფრენებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ტექნიკურად, რუსეთის მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო, საქართველოს ნაბიჯი სამართლებრივ ჩარჩოებში ჯდება<sup>8</sup> მითუმეტეს, რომ 2012 წლის გადაწყვეტილებით საქართველო დარჩა “ღია ცის შესახებ” ხელშეკრულების მონაწილე, ვალდებულების შესრულების პირობით ყველა სხვა წევრი ქვეყნის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე და არც მას შემდეგ 2010 წლამდე, ხელშეკრულების გარშემო რუსულ-ქართულ დავას ადგილი არ ჰქონია. არ არსებობს რუსული მხარის განცხადება, თუ რატომ გადაწყვიტა რუსეთმა აგვისტოს ომიდან ორი წლის შემდეგ ხელშეკრულება პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოეყენებინა. რუსეთის ამგვარი ქმედება, შესაძლოა, იყოს საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული ჩვეული სტრატეგიის ნაწილი, რომლის თანახმადაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ არსებულ ინსტრუმენტებს ეტაპობრივად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის საკითხის აქტუალობის შენარჩუნების მიზნით იყენებს. (ასეთი სტრატეგია რუსეთის მხრიდან გამოყენებულია ე.წ. ბორდერიზაციის პროცესშიც, რომლის ფარგლებშიც საოკუპაციო ხაზთან მავთულხლართების გავლება ეტაპობრივად ხდება<sup>9</sup>).

<sup>8</sup> Vienna Convention on the Law of Treaties 1969, ხელმისაწვდომია:

[http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_1\\_1969.pdf](http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf)

<sup>9</sup> კორნელი კაკაჩია, ლევან კახიშვილი, ჯოსეფ ლარსენი, მარიამ გრიგალაშვილი, „ბორდერიზაცია საქართველოში: რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია“, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2017.

## რამდენად რეალურია ფრენების ჩაშლის საფრთხე?

გამომდინარე იქიდან, რომ “ღია ცის შესახებ” ხელშეკრულების საკონსულტაციო კომისიის სხდომა არის დახურული, შეხვედრის ფარგლებში მიმდინარე პროცესებზე საჯარო ინფორმაცია არ არსებობს. თუმცა, რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ 10 კმ-იანი შეზღუდვის მოხსნა, 2018 წლის ფრენების ჩაშლის საკითხთან ერთად, საკონსულტაციო კომისიის სხდომებზე მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენს. ამასთან, მნიშვნელოვანია 2018 წლის 23 აპრილს რუსეთის მიერ კომისიისთვის გაკეთებული მიმართვა, რომელშიც კრემლი საქართველოს ტერიტორიაზე ღია ცის ხელშეკრულების ფარგლებში ფრენების ჩატარებას ითხოვდა<sup>10</sup>. პროცედურულად, აღნიშნული მიმართვა იმ დოკუმენტის ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც გაწერილია 2018 წლის ყველა ფრენა (აქტიური კვოტების გადანაწილება და ა.შ). დოკუმენტის პროექტზე კონსენსუსის ვერ მიღწევა მთლიანად დოკუმენტის ჩავარდნას ნიშნავს გამომდინარე იქიდან, რომ შეთანხმება უნდა მიიღწეს მთლიან დოკუმენტზე და არა სათითაოდ თითოეული ქვეყნის ფრენების შესახებ.

სოციალური მედით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, რუსეთი კომისიისადმი მიმართვაში ასევე აცხადებს, რომ იგი მზადაა უკან წაიღოს 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილება 10 კილომეტრიან აკრძალვასთან დაკავშირებით<sup>11</sup>. აღნიშნულმა ქმედებამ სფეროს ექსპერტებს შორის, თითქოს, არცთუ უსაფუძვლო კრიტიკა გამოიწვია საქართველოს მისამართით<sup>12</sup>. ზოგიერთი საერთაშორისო ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთმა დააკმაყოფილა საქართველოს მოთხოვნა, გაეუქმებინა 2010 წლის შეზღუდვა, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წელს მიღებული გადაწყვეტილებით რუსეთისთვის ფრენის აკრძალვის მიზეზს ვეღარ ხედავენ.

ერთი შეხედვით, აღნიშნული მართლაც რომ არგუმენტირებული კრიტიკის საფუძველს იძლევა, თუმცა საგულისხმოა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც მთლიანად ცვლის რუსეთის მიერ შემოთავაზებულ დისკურსს. 24 აპრილს, საკონსულტაციო კომისიის სხდომიდან მეორე დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დოკუმენტი სათაურით „რუსეთის შეფასება ამერიკის შეერთებული

<sup>10</sup> ინტერვიუ ექსპერტთან შეიარაღების კონტროლის საკითხებში.

<sup>11</sup> Marek, A. Sabotka, “Problem is now more complex...Russia is ready to withdraw from 10 km limitation ... but Georgia continue to block the decision on OS flights in 2018. If the situation is prolonged it bodes badly for #OpenSkiesTreaty, 20 June, 2018. 3:30 Am. Tweet.

<sup>12</sup> იმავე.

შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის შესახებ, რომელიც ეხება იარაღის კონტროლის, გაუვრცელებლობისა და განიარაღების შეთანხმებებისა და ვალდებულებების შესრულებას<sup>13</sup> დოკუმენტი, მთელ რიგ საკითხებთან ერთად მოიცავს ქვეთავს, რომელიც ეხება ხელშეკრულებას “ღია ცის შესახებ”, სადაც რუსეთის ფედერაცია პასუხობს სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკას რუსეთის ქმედებების წინააღმდეგ. განხილვებით 23 აპრილს გაკეთებული მიმართვისა საკონსულტაციო კომისიის მისამართით, რომ რუსეთი მზადაა უკან წაიღოს 10 კმ-იანი აკრძალვა, სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ შეფასებაში ნათქვამია „შეზღუდვები ღია ცის შესახებ ხელშეკრულების ფრენების განხორციელებასთან დაკავშირებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან რუსეთის საზღვრის გასწვრივ შემოღებულია ხელშეკრულების დებულების გათვალისწინებით, რომელიც კრძალავს ფრენებს არაწვერი სახელმწიფოს საზღვართან 10 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე.“<sup>14</sup> აღნიშნული განცხადება, იმის დასტურია, რომ რუსეთის მიერ 23 აპრილს კომისიის მისამართით გაკეთებული მიმართვა არ წარმოადგენდა ქართული მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებას და რომ რუსეთის ფედერაციამ ზუსტად ერთი დღის შემდეგ დაადასტურა თავისი თავდაპირველი პოლიტიკის გაგრძელება, გამოიყენოს 10 კილომეტრიანი აკრძალვა, რათა ევროპის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი დაფიქსირდეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აქედან გამომდინარე, ქართული მხარის მიერ უარის თქმა 2018 წლის სადამკვირვებლო ფრენების შესახებ დოკუმენტის იმ ფორმით მიღებაზე, სადაც შესულია რუსეთის მოთხოვნა საქართველოში ფრენების განხორციელებაზე, რუსეთის ორმაგი თამაშით აიხსნება: ერთი მხრივ, რუსეთი, თითქოს, თანხმდება საქართველოს მოთხოვნას, ხოლო, მეორე მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში კვლავ ხაზს უსვამს 2010 წელს დაწესებული შეზღუდვის ლეგიტიმურობას.

საქართველოს მხრიდან დოკუმენტზე თანხმობა უკავშირდება რისკს, რომ რუსეთი საკუთარ შეზღუდვას არ გააუქმებს, გამოიყენებს ამ ხელშეკრულებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოსაჩენად. ამასთანავე

---

<sup>13</sup> Minister of Foreign Affairs of Russia, 24 April, 2018. Russia's assessment of the US Department of State's Report on Adherence to and Compliance with Arms Control, Nonproliferation, and Disarmament Agreements and Commitments, Available at:

[http://www.mid.ru/en/foreign\\_policy/news/-/asset\\_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/3192916](http://www.mid.ru/en/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/3192916)

<sup>14</sup> ავტორის თარგმანი. Minister of Foreign Affairs of Russia, 24 April, 2018. Russia's assessment of the US Department of State's Report on Adherence to and Compliance with Arms Control, Nonproliferation, and Disarmament Agreements and Commitments, Available at:

[http://www.mid.ru/en/foreign\\_policy/news/-/asset\\_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/3192916](http://www.mid.ru/en/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/3192916)

დოკუმენტის პროექტის დამტკიცება ნიშნავს იმას, რომ საქართველოს უფლება აღარ ექნება უარი თქვას საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სადამკვირვებლო ფრენების მიღებაზე.

## საქართველოს ტერიტორიაზე ფრენების განხორციელების მოთხოვნა: რაში მდგომარეობს რუსული ნარატივი?

მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთის ფრენები აკრძალა, 2016 წელს მოსკოვმა, საკონსულტაციო კომისიას ფრენების განხორციელების მოთხოვნით მიმართა. თუმცა კომისიის სხდომაზე, კრემლმა უკან გაიტანა განცხადება, შესაბამისად, 2016 წელს ღია ცის ხელშეკრულების ფრენები შეფერხების გარეშე განხორციელდა<sup>15</sup>. რუსეთმა მსგავსი მოთხოვნა 2017 წლის ოქტომბერშიც გააკეთა და მას შემდეგ აქტიურად ცდილობს საქართველო ხელშეკრულების დარღვევაში დაადანაშაულოს.

დასავლელი მკვლევარების ნაწილის აზრით<sup>16</sup>, რუსეთისთვის ფრენების შეზღუდვით საქართველო საფრთხეს უქმნის ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას, რადგან ამ გადაწყვეტილებით საქართველო საკუთარი სამხედრო მიზნების შესახებ ეჭვებს აღძრავს რუსეთში<sup>17</sup>. თუმცა, მიუხედავად იმისა რომ 2012 წელს საქართველომ უშუალოდ რუსეთს აუკრძალა ფრენები, რუსეთს მაინც მიუწვდება ხელი ერთიან ბაზაზე სადაც იტვირთება სხვა სახელმწიფოების მიერ ჩატარებული ფრენების<sup>18</sup> შედეგები. შესაბამისად, სურვილის შემთხვევაში (და არ გამოირიცხება რომ ეს ასეც ყოფილიყო) რუსეთს შეეძლო „ეჭვების გასაფანტად“ გასცნობოდა იმ ინფორმაციას, რაც ხელშეკრულების სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ საქართველოზე ფრენების განხორციელების შედეგად შეგროვდა. ამრიგად, არგუმენტი იმის შესახებ რომ საქართველო მის ტერიტორიაზე რუსეთის ფრენების აკრძალვით, ეჭვებს აღძრავს კრემლში საქართველოს შესაძლო სამხედრო მიზნების შესახებ, არსობრივად უსაფუძვლოა.

<sup>15</sup> ინტერვიუ ექსპერტთან შეიარაღების კონტროლის საკითხებში.

<sup>16</sup> Thomas Frear, Open Skies: A Status Neutral Approach for Georgia and Russia, August, 2017. Available at: <https://www.europeanleadershipnetwork.org/policy-brief/open-skies-a-status-neutral-approach-for-georgia-and-russia/>

<sup>17</sup> იმავე

<sup>18</sup> იხილეთ ცხრილი 1, 2002 წლიდან-2017 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებული ფრენები. ინფორმაცია ეყრდნობა თავდაცვის სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე მიღებულ ცხრილს.

რუსეთმა თავისი პოლიტიკით მიაღწია ორ შედეგს:

- (1) გამოიწვია მოკავშირეთა შორის მიმდინარე პროცესებზე აზრთა სხვადასხვაობა.
- (2) დღის წესრიგში დადგა 2018 წლის ფრენების ჩაშლის საკითხი.

ამ პროცესიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც მოთხოვნის უკან წადების შემდეგ დოკუმენტი, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა, დამტკიცდებოდა, იკვეთება, რომ რუსეთისთვის 2018 წლის ფრენები სასიცოცხლო მნიშვნელობის არაა. ამასთანავე „ღია ცის შესახებ“ ხელშეკრულების ფარგლებში სხვა არაერთი პრობლემური საკითხია, რომლის მთავარ დაპირისპირებულ მხარეებს ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია წარმოადგენენ (მაგალითად, კალინინგრადის თემა, აშშ-ის მიერ რუსეთისთვის დაწესებული შეზღუდვა<sup>19</sup>). შესაბამისად, 2018 წლის ფრენების ჩაშლის მიზეზები, შესაძლოა, აშშ-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში უკეთ გამოჩნდეს, ვიდრე ეს მხოლოდ საქართველოს შემთხვევაზე ფოკუსირების შედეგად.

---

<sup>19</sup> ამ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Россия и США разлетаются все дальше, ხელმისაწვდომია: <https://www.kommersant.ru/doc/3635736>



## დასკვნა

ხელშეკრულება „ღია ცის შესახებ“ კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება ევროპული უსაფრთხოების საკითხების ფართო განხილვისას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელშეკრულების ტექნიკური ხასიათის მიუხედავად ზოგჯერ გადაწყვეტილებები მხარეების პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მიიღება. რუსეთის ფედერაცია კვლავ ცდილობს, 2018 წლის ფრენების ჩაშლა სწორედ საქართველოს პასუხისმგებლობად წარმოაჩინოს, მაშინ როდესაც რეალურად მოსკოვის მოთხოვნა ერთმნიშვნელოვნად, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგაა მიმართული და ეწინააღმდეგება მის სასიცოცხლო ინტერესებს.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ფრენების მოთხოვნა, ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, უნდა უკავშირდებოდეს მის სურვილს, გამოიყენოს „ღია ცის შესახებ“ ხელშეკრულების ფორმატი, რათა მოიპოვოს სამხედრო სადაზვერვო ინფორმაცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიუხედავად 2012 წელს საქართველოს გადაწყვეტილებისა აკრძალა ფრენები რუსეთის ფედერაციისთვის, რუსეთის ფედერაციას საქართველოზე განხორციელებული ფრენების შედეგებზე წვდომა მაინც აქვს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ რუსეთის მიერ საკითხის დღის წესრიგში კვლავ წამოწევა არ უკავშირდება მხოლოდ ინფორმაციის მიღებისა და ეჭვების გაფანტვის სურვილს, არამედ კრემლის მიერ თემის გააქტიურება მისი პოლიტიკური თამაშის ნაწილია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფრენები ყოველწლიურად მაინც ხორციელდება და არ ყოფილა წელი, როცა საქართველოს ღია ცის ფორმატში ფრენები არ მიეღო.

საქართველოს პოზიცია, ინტერპრეტაციების გარეშე მოითხოვოს 10 კმ-იანი დისტანციის აკრძალვის მოხსნა, ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი „ღია ცის შესახებ“ ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიებია და მათზე არ უნდა ვრცელდებოდეს შეთანხმების მუხლი, რომელიც ხელმომწერ მხარეებსა და არაწევრ სახელმწიფოებს შორის ფრენის დისტანციას არეგულირებს. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში რუსეთი ცდილობს არასწორი ინტერპრეტაციების მეშვეობით მოახდინოს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევა. ამრიგად, რუსეთი საკუთარი დარღვევების მოწინააღმდეგე მხარის ქმედებად წარმოჩენაზეა ორიენტირებული.

**ცხრილი 1. 2002 წლიდან-2017 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებული ფრენები<sup>20</sup>**

ქვეყანა	ჩატარების ადგილი	თარიღი
		<b>2003 წელი</b>
რუსეთი	საქართველო	11-14 ნოემბერი
		<b>2004 წელი</b>
გაერთიანებული სამეფო/რუსეთი	საქართველო	16-20 თებერვალი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	09-12 აგვისტო
ბელგია-ლუქსემბურგი-ნიდერლანდები (ბენილუქსი)	საქართველო	25-28 ოქტომბერი
		<b>2005 წელი</b>
ესპანეთი-ბენილუქსი-საბერძნეთი	საქართველო	21-25 ნოემბერი
გაერთიანებული სამეფო-რუსეთი	საქართველო	22-26 აგვისტო
თურქეთი-გერმანია	საქართველო	25-29 ივლისი
		<b>2006 წელი</b>
რუსეთი-გაერთიანებული სამეფო	საქართველო	13-17 ივნისი
საბერძნეთი-ბენილუქსი-ესპანეთი	საქართველო	1-3 ნოემბერი
თურქეთი-გერმანია-საფრანგეთი	საქართველო	6-10 ნოემბერი
კანადა-იტალია-შვედეთი	საქართველო	27-30 ნოემბერი
		<b>2007 წელი</b>
გაერთიანებული სამეფო-რუსეთი	საქართველო	23-27 აპრილი
თურქეთი-გერმანია-	საქართველო	24-28 სექტემბერი

<sup>20</sup> ცხრილი ეყრდნობა თავდაცვის სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

საფრანგეთი		
ბენილუქსი-საბერძნეთი- ესპანეთი	საქართველო	15-19 ოქტომბერი
უნგრეთი-კანადა-იტალია	საქართველო	5-9 ნოემბერი
		<b>2008 წელი</b>
იტალია-კანადა- საფრანგეთი	საქართველო	1-4 აპრილი
		<b>2009 წელი</b>
საფრანგეთი-კანადა	საქართველო	4-8 მაისი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	3-7 აგვისტო
გაერთიანებული სამეფო- რუსეთი	საქართველო	28სექტემბერი-2 ოქტომბერი
ესპანეთი-საბერძნეთი- ბენილუქსი	საქართველო	19-23 ოქტომბერი
		<b>2010 წელი</b>
თურქეთი-გერმანია	საქართველო	12-16 აპრილი
კანადა-საფრანგეთი- იტალია	საქართველო	24-28 მაისი
		<b>2011 წელი</b>
იტალია-კანადა- საფრანგეთი	საქართველო	11-15 აპრილი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	16-20 მაისი
საბერძნეთი-ესპანეთი	საქართველო	27-1 ივნისი
გაერთიანებული სამეფო- რუსეთი	საქართველო	19-22 სექტემბერი
		<b>2012 წელი</b>
საფრანგეთი-კანადა- იტალია	საქართველო	2-6 აპრილი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	17-20 აპრილი
დიდი ბრიტანეთი	საქართველო	20-24 აგვისტო

		2013 წელი
უკრაინა	საქართველო	27-31 მაისი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	20-23 აგვისტო
საფრანგეთი-კანადა- იტალია	საქართველო	9-13 სექტემბერი
შვედეთი	საქართველო	1-4 ოქტომბერი
		2014 წელი
საფრანგეთი-კანადა- იტალია	საქართველო	16-2- ივნისი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	13-15 აგვისტო
უკრაინა	საქართველო	ჩაიშალა
		2015 წელი
საფრანგეთი-კანადა- იტალია	საქართველო	14-18 აპრილი
თურქეთი-გერმანია	საქართველო	8-12 ივნისი
უკრაინა	საქართველო	3-7 აგვისტო
		2016 წელი
იტალია-კანადა- საფრანგეთი	საქართველო	25-29 აპრილი
უკრაინა	საქართველო	19-23 სექტემბერი
გერმანია-თურქეთი	საქართველო	1-4 ნოემბერი
		2017 წელი
გაერთიანებული სამეფო- გერმანია	საქართველო	19-23 ივნისი
კანადა-საფრანგეთი- იტალია	საქართველო	11-15 სექტემბერი
თურქეთი-ბოსნია და ჰერცეგოვინა	საქართველო	2-6 ოქტომბერი

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

მარიამ გრიგალაშვილი. „დახურული“ ღია ცა: რატომ ჩაიშალა საერთაშორისო სადაზვერვო ფრენები?, კვლევითი დოკუმენტი # 8, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2018.

© Georgian Institute of Politics, 2018

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)